

„სამი, ოთხი ხე“

ლიზა გუჩერი

ჯესი დარლინგი

სალომე დუმბაძე

სოფიო მელოიძე

დევიდ ჰორვიცი

„სამი, ოთხი ხე“ ჯგუფური გამოფენაა, რომელიც კრავს გამოფენამდე არსებულ და გამოფენისთვის დაკვეთილ ნამუშევრებს სხვადასხვა ხედვის მქონე ხელოვანისაგან.

გამოფენა ერთგვარი შეთავაზებაა, რომ წარმოვიდგინოთ ახალი თავი, ახალი თაღი და ხიდი უცნობი მომავლისკენ, როგორც ხატი, დღევანდელი დღის პოლიტიკური პირობების რღვევაში და რთულად დასანახი კორიზონტის ფონზე. „სამი, ოთხი ხე“ სამოთხის წარმოდგენაა ქართულ ენაში. ეს სიმბოლიზმით დატვირთული სიტყვა, სიმბოლიზმით დატვირთული რიცხვების და ხის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს ერთობლიობაა.

ლიზა გუჩერის ნამუშევარი, რომლის სათაური ქართულ ენაზეა „ხიდს შექმნა უნდა“, წარმოადგენს ქანდაკებას, რომელზეც ხელოვანმა საქართველოში ნაპოვნი და ნაყიდი მასალებით იმუშავა. ნამუშევარი მიუთითებს ტრანსცენდენტალური გამოცდილებისკენ, რომელიც გხვდება იქ, სადაც მას ნაკლებ ელი.

ჯესი დარლინგის „უსათაურო“, შეიქმნა დღევანდელი პანდემიის პირველი ტალღის დროს, როდესაც ხელოვანი თვით-იზოლაციაში ატარებდა დროს. ეს ნამუშევარი ასახავს „სამ-ოთხ ხეს“ უცნობი ენის გამოსახულების თანხლებით. როდესაც ნამუშევარი პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთი სახელოვნებო ჟურნალის ინტერნეტ გვერდზე, დარლინგი წერს: „არავინ იცის რა მოხდება უღრანი ტყეების შემდეგ, ან თუკი ჩვენ საერთოდ შევლებთ გაღწევას. მაგრამ, როდესაც შეუძლებელია მოინახულო ტყე ხეებისათვის, იქნებ მართლა დგება ის დრო, რომ დავუთმოთ დრო ხეების ყურებას.“

სალომე დუმბაძის ფერწერა გამოფენისთვის შეიქმნა. მისი სიმბოლიკა აჩვენებს სიცოცხლეს ფანჯრისა და თაღის მიღმა, რაც ხედვის შეცვლასთან დაკავშირებული ძიებისკენ მინიშნების მატარებელია.

სოფიო მელოიძის „ნატურის ხე“ ინტერაქციული ხასიათის ნამუშევარია. მას ქმნის მაყურებელი ავტორთან ერთად. მაყურებელი დაპატიჟებულია საკუთარი „ნატურა“ დადგინილი სადეჭი რეზინის სახით სამუდამოდ მიაკრას ხის სხეულს. ასე იქმნება ქანდაკება, რომელიც მხოლოდ გამოფენის დახურვის შემდეგ შედგება, როგორც ნამუშევარი. ნამუშევრის იდეა, ავტორს გაუჩნდა ვარძიაში მოგზაურობისას, როდესაც ის მუშაობდა ფილმზე „ტურები და დრონები, ერთი ზაფხულის ქრონიკა“. 2016 წლის ეს 16 წუთიანი ფილმი ეკრანზე გადის.

დევიდ ჰორვიციის ნამუშევარიც ინტერაქტიულია. ის შეიქმნა გამოფენისთვის, პანდემიური კრიზისიდან გამომდინარე არსებული შეფერხებების გათვალისწინებით. ეს ეფემერული ნამუშევარია, რომელის თანა-ავტორი მაყურებელია. ნამუშევარი დასრულდება და მას საბოლოო სახე მიეცემა სპეციალური გამოცემის სახით, რომელსაც თბილისის სხვადასხვა უბანში არსებული ხეების სახელები და მისამართები შექმნის. ეს ნამუშევარი პირველ რიგში ბავშვებისთვის არის. ბავშვები, მათი მშობლები და სხვა მაყურებელი დაპატიჟებულია, რომ გამოაგზავნოს ერთი ხის ფოტო და მისამართი საკუთარი უბნიდან. თუკი მას ბავშვი დაარქმევს სახელს, ეს ხე თავისი ახალი სახელით დაიმკვიდრებს ადგილს ხეების ახალ რუკაზე. ამგვარად, ნამუშევარი გვიბიძგებს ყურადღება მივაქციოთ ხეს ჩვენს ყოველდღიურობაში.

### *Three, Four Trees*

Jesse Darling

Salome Dumbadze

Lisa Gutscher

David Horvitz

Sophio Medoidze

*Three, Four Trees* is a group exhibition, which brings together commissioned and pre-existing works of art by artists of different standpoint.

The exhibition is a proposition to imagine another chapter, another arch and a bridge towards an unknown future, in the times of failing political promises and the absence of a clear horizon. "Three, four trees" is a literal translation of a Georgian word for heaven. The definition loaded with symbolism, consists of an assemblage of numbers of symbolic meaning and a tree, as a tree of life, an archaic symbol of life, regeneration and vitality.

*Untitled, 2020*, by Jesse Darling is a work they created while in self-isolation during the first wave of the current pandemic crisis. The work shows 'three-four' trees accompanied by signs of an imaginary language. In an excerpt to the original note to accompany the work, Darling writes: "Nobody knows what happens after the dark woods or if we make it out at all. But when it's not possible to see the forest for the trees, it might be time to really look at the trees for a while".

Salome Dumbadze's series of work is created for the occasion of the exhibition. Life, in Dumbadze's work, is something ahead of the viewer, but not quite in front of them. This is something seen through a window wide open, or stands within in an imaginary arch, watching at us. Life here, is something to be grasped by getting closer.

“ხოდს შექმნა უნდა“ by Lisa Gutscher is a sculpture resembling floor plans of Syrian basilicas, reminding us Georgian early Christian architecture. The site-specific work made of found and purchased material in Tbilisi, stands on its own in a transitional space - the place usually never visited by the gallery audience.

David Horvitz has created a work to meet the challenges of the current circumstances, the difficulties of travel and transportation from his place of residence to Georgia. The work is ephemeral and can only be fulfilled by participation, co-creation and collaboration between the artist and the gallery audience. The work is for children in the first place, but is also open to their parents and a passer-by. *To be titled*, is a gesture to pay attention to the trees in our neighborhoods, within our everyday life. It gathers strangers to create a new map of trees based on their Tbilisian addresses.

Sophio Medoidze's *Wish Tree* stands in the centre of the exhibition space and invites the viewer to participate in a communal ritual - to stick one's chewed gum to the tree, as to follow a contemporary tradition Medoidze learned about when traveling in Vardzia, South-East Georgia, working on *Jackals and Drones: Chronicle of a Summer*, the film also screened at the exhibition.